

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 12

ქ.თბილისი

21.07.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

რუსუდან ტყემელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი; დავით კახიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

დავით კერესელიძე - დირექტორის მოადგილე;

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი მიქაძე - სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსი;

მარინა ჟვანია - საგანმანათლებლო პროგრამებისა და აღიარების სამსახურის უფროსი;

ქეთევან ფანჭულიძე - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

კონსტანტინე ჩოკორაია - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლალი შაიშველაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.
თეა შაყულაშვილი - სამართლებრივი მომსახურების უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - ახალი სკოლის დირექტორი მ. ჟღენტი;
შპს - „ოაზისი“ - კერძო მრავალპროფილიანი სკოლის დირექტორი და დამფუძნებელი ნაირა დოლიძე;
შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი მანანა ჩუხრუკიძე;
შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ დირექტორი გ. ბერაია;
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი მარგველაშვილი, ხარისხის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ზაზა აბულაძე;
შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ლელა ქელბაქიანი;
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნ. ჟვანია;
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნ. დურგლიშვილი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

ნინო ბალანჩივაძე;
პაატა ჩორგოლაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
ნინო ფეტვიაშვილი;
კახაბერ ერაძე;
მარინა გედევანიშვილი;
ელენე გვენცაძე;
ლელა ქელბაქიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:10 სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი:

1. შპს - ახალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - „ოაზისი“ - კერძო მრავალპროფილიანი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა- ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსა და ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იყო.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. შპს - ახალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - „ოაზისი“ - კერძო მრავალპროფილიანი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა- ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს - ახალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ახალი სკოლის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - ახალი სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ახალი სკოლის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლალი შაიშმელაშვილმა რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტების შეფასებით, სკოლა აკმაყოფილებს სამივე სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა, მატერიალური რესურსის ნაწილთან მიმართებით საბჭოს მიაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. შპს „ახალ სკოლას“ 2011 წლის 23 ივნისს დარეგისტრირდა, როგორც შპს „საერთაშორისო სახლის“ უფლებამონაცვლე საზოგადოება. სკოლას აქვს ერთ მისამართზე საკუთარ მფლობელობაში არსებული 4 394 კვ.მ. ფართი. სკოლის საკუთრებაშია სამი სასწავლო კორპუსი, საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი და მოედანი, კეთილმოწყობილი ეზო. სკოლის მფლობელობაში არსებული ფართიდან 3914 კვ.მ განკუთვნილია „ახალი სკოლის“ ქართული განყოფილებისათვის, რომელიც ავტორიზაციაზე არის წარმოდგენილი, ხოლო 480 კვ.მ უკავია ინგლისურენოვან განყოფილებას, რომელიც საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამით გადის სწავლებას და ასევე, საბავშვო ბაღს. სკოლის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი განყოფილებები შიდა ბრძანებით არის გამიჯნული და თითოეულს განსაზღვრული აქვს შესაბამისი მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსი.

ლალი შაიშმელაშვილმა განმარტა, რომ საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის დასრულების შემდგომ პირზე არ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. აღნიშნული პროგრამა არ იყო არც აკადემიური და არც პროფესიული პროგრამა.

2. მატერიალური რესურსების ნაწილში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების კითხვარის 2.7-ში, სასურველია, სკოლის შინაგანაწესი უფრო დეტალური იყოს და მასში უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი სკოლაში მოქმედი წესები, უფლება-მოვალეობები, დისციპლინური სახდელებისა და წახალისების მექანიზმები, რომლებიც აღწერილია სხვა დოკუმენტებში, მაგ.: ცნობარებში მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთათვის, ასევე სკოლის პოლიტიკის ამსახველ წიგნში.

3. სასურველია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა უფრო დეტალური იყოს, კონკრეტული ვადებისა და შემსრულებელი კონკრეტული პირების მითითებით, რათა შესაძლებელი იყოს შესრულების მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა იყო თუ არა სამოქმედო გეგმა შედგენილი, რაზეც ლალი შაიშმელაშვილმა უპასუხა, რომ სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ იყო წარმოდგენილი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე იკითხა ქონდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული შინაგანაწესი. შპს - ახალი სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ წესდება და შინაგანაწესი დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა.

საბჭოს წევრმა ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ იგი პირადად იცნობდა შპს - ახალ სკოლაში არსებულ მდგომარეობას და იყო ერთ-ერთი საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულება.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ვინაიდან შპს - ახალი სკოლა ავტორიზებადი საქმიანობისთვის არ იყენებს 480 კვ.მ -ს, ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის მიზნებისთვის დაწესებულებას აღნიშნულ ფართს ვერ ჩაუთვლიდა.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან დაკავშირებით შპს - ახალი სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალი სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ახალ სკოლას მიენიჭოს ავტორიზაცია 5 წლის ვადით და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 988-ით.

2. შპს - „ოაზისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „ოაზისის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - „ოაზისის“ წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „ოაზისის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით მაკარიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 საათობრივი ბადით I-დან IV კლასამდე არ არის გათვალისწინებული ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგანი - მუსიკა.

1.2 სკოლაში შექმნილია 5 კათედრა - 1.ისტორიული საზოგადოებრივი მეცნიერებების, 2.საბუნებისმეტყველო და მათემატიკის, 3.უცხო ენების, 4.დაწყებითი კლასების და 5.ესთეტიკური ციკლის. სკოლაში მოქმედ კათედრებს აქვთ დებულებები და საგნობრივი კათედრის ჟურნალები. დებულებები სემესტრების მაგივრად ტრიმესტრებზეა გაწერილი.

1.3 დებულებებში კათედრის სხდომების ჩატარება ”თვეში ერთხელ მაინცაა” გათვალისწინებული, თუმცა საგნობრივი კათედრის ჟურნალის მიხედვით კათედრები 4-5-ჯერ არიან შეკრებილი მთელი სასწავლო წლის მანძილზე. სხდომის ოქმების ბოლოს არ ფიქსირდება კათედრის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერები. კათედრის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრების სხდომაზე პედაგოგები იხილავენ თუ რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები და აქედან გამომდინარე გეგმავენ სამომავლოდ განახორციელებელ აქტივობებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რომელი სტანდარტი იყო ამ შემთხვევაში დარღვეული. კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სახეზე იყო კათედრის მიერ დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულებით დადგენილი წესების დარღვევა, რაც შეეხება სტანდარტთან შეუსაბამობას, იგი დარღვევას ვერ ხედავდა.

1.4 ამჟამად სკოლას არ აქვს დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროგრამა გაწერილი 2011-2016 ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის სკოლის სასწავლო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს 2010-2011 წლის ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმას. შესაბამისად აღნიშნული შენიშვნა ავტორიზაციის საბჭოს მიერ არ იქნა გაზიარებული.

1.5 სკოლამ ვერ წარმოადგინა:

სპორტის კალენდარული გეგმები I-დან XII კლასის ჩათვლით;

ისტ-ის კალენდარული გეგმები I, VI-დან XII კლასის ჩათვლით;

შრომის კალენდარული გეგმა IV და V კლასებში;

გეოგრაფიის VII და IX კლასების კალენდარულ გეგმას წარმოადგენს "სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან" (დანართი №12 შვიდ გვერდად და დანართი №13 ხუთ გვერდად).

საბჭოს თავმჯდომარე დაზუსტების მიზნით მომხსენებელს შეეკითხა, არსებობდა თუ არა გეოგრაფიის მე-7 და მე-9 კლასების კალენდარული გეგმები. დავით მაკარიძემ აღნიშნა რომ აღნიშნული გეგმები არ არსებობდა. კახი ყურაშვილი დამატებით დაინტერესდა თუ ვინ გააკეთა შეფასება, რომლის მიხედვითაც ამ საგანში არსებული სახელმძღვანელო შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ თითოეული წიგნი, რომელიც გადის გრიფირებას, მოწმდება მისი შესაბამისობა ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დავით კახიაშვილმა განმარტა, რომ სასურველია თითოეულ სკოლას ჰქონდეს თავისი, საკუთარი კალენდარული გეგმა.

1.6 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მოსწავლეებს 10 ქულიანი სისტემით აფასებენ. წარმოდგენილია დოკუმენტი - "შპს - ოაზისი, კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის შეფასების პრინციპები 2010-2011 სასწავლო წლისათვის", რომელიც წარმოადგენს ამონარიდებს ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმიდან, განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე, დამტკიცებულია დირექტორის მიერ. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული დოკუმენტით სკოლა ითვალისწინებს ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სემესტრის მანძილზე მიმდინარე შეფასების სამ კომპონენტს - საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალება, სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოყენებულ ჟურნალი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში დაფიქსირდეს შეფასების სამივე კომპონენტი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

მომხსენებელმა დამატებით განმარტა, რომ ჟურნალი იძლეოდა მხოლოდ ერთ კომპონენტთან შეფასების გაკეთების შესაძლებლობას. კახი ყურაშვილი დაინტერესდა რეალურად როგორ ხდებოდა სკოლაში შეფასება, ანუ შეფასება მოიცავდა ერთ კომპონენტს თუ სამს. დავით მაკარიძემ აღნიშნა, რომ შპს - ოაზისში შეფასება ხორციელდებოდა სამი კომპონენტის საფუძველზე. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ შემოწმებულ ჟურნალში მოცემული იყო მხოლოდ ერთი შეფასება ნაცვლად სამისა. ექსპერტის განმარტებით მოსწავლეთა შეფასების ჟურნალს ჰქონდა მხოლოდ ერთი გრაფა.

შპს - ოაზისი დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში შეფასება ხდება 3 კომპონენტის გათვალისწინებით, უბრალოდ ეკონომიის მიზნით იყენებდნენ ძველი ფორმის ჟურნალებს. დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას შესყიდული ჰქონდა ახალი ფორმის ჟურნალები და აუცილებლად გამოიყენებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ I-დან IV კლასამდე რატომ არ ისწავლებოდა მუსიკა. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მუსიკის გაკვეთილები ტარდებოდა გახანგრძლივებულ ჯგუფებში, თუმცა საათობრივ ბადაში აღნიშნული საგანი არ იყო მოცემული. დავით კახიაშვილმა აღნიშნა, რომ მართალია მუსიკა ისწავლებოდა გახანგრძლივებულ ჯგუფებში, თუმცა იგი მაინც უნდა ყოფილიყო სასკოლო გეგმაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რატომ იყო დებულებები სემესტრების მაგივრად ტრიმესტრებზე გაწერილი. დირექტორმა განმარტა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რეალურად

სკოლაში სწავლა ორ სემესტრზეა გათვლილი. კახი ყურაშვილი ექსპერტებისგან დაინტერესდა რეალურად როგორ ხორციელდებოდა სწავლება და შეფასება. დავით მაკარიძემ აღნიშნა რომ სკოლაში რეალურად იყო სემესტრული სწავლება და არა ტრიმესტრული.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს სთხოვა თავიანთი აზრი დაეფიქსირებინათ ექსპერტთა დასკვნასი არსებულ შემდეგ შენიშვნაზე - „დებულებებში კათედრის სხდომების ჩატარება” თვეში ერთხელ მაინცაა” გათვალისწინებული, თუმცა საგნობრივი კათედრის ჟურნალის მიხედვით კათედრები 4-5-ჯერ არიან შეკრებილი მთელი სასწავლო წლის მანძილზე.” სკოლის დირექტორმა ნაირა დოლიძემ განმარტა, რომ ესეც იყო ტექნიკური შეცდომა, რადგან ეს დებულებაც ტრიმესტრებზე იყო გათვლილი და სემესტრში აღარ იყო საჭირო ამდენი კათედრის სხდომების ჩატარება.

სპორტის I-დან XII კლასის, ისტ-ის I, VI-დან XII კლასის, შრომის IV და V კლასის, გეოგრაფიის VII და IX კლასების კალენდარული გეგმებთან დაკავშირებით შპს - ოაზისის დირექტორმა ნაირა დოლიძემ აღნიშნა რომ აღნიშნული დოკუმენტები არსებობდა. ნაირა დოლიძემ აღნიშნა, რომ ობიექტური მიზეზების გამო მან ვერ მოახერხა ავტორიზაციის ექსპერტებისთვის აღნიშნული დოკუმენტების წარდგენა.

კახი ყურაშვილმა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მოსაზრება სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოყენებული ჟურნალის ფორმასთან დაკავშირებით. ლალი ლოღელიანი ექსპერტებისგან დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას შემუშავებული მოსწავლეთა შეფასების წესი. მიხელო ტეფნაძემ აღნიშნა რომ დაწესებულებას ჰქონდა შეფასების წესი შემუშავებული და იგი შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, მაგრამ შემოწმებული ჟურნალებით არ დასტურდებოდა რომ შეფასება ხორციელდებოდა 3 კომპონენტის საფუძველზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შპს - ოაზისის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შპს „ოაზის“, სს „ელექტროვაგონსემკეთებელი ქარხნიდან“ იჯარით აღებული აქვს 750 კვ.მ. ფართი ქ. თბილისში ცოტნე დადიანის №32/მ. ქავთარაძის №7 -ში 2010 წლის 01 ივლისიდან, 2016 წლის 01 ივლისამდე. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სააჯარო რეესტრის ამონაწერი. აღნიშნული ფართი საჯარო რეესტრში დაფიქსირებული არაა და არც დარეგისტრირებაზე თანხმდება საჯარო რეესტრი. რეგისტრაციაზე უარის მიზეზი არის ის, რომ სს „ელექტროვაგონსემკეთებელი ქარხნის“ წინააღმდეგ დაწყებულია გაკოტრების საქმე და ამ პერიოდში მათ არ ჰქონდათ იჯარით ფართის გაცემის უფლება.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ საექსპერტო ვიზიტის დროს საჯარო რეესტრში მათ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობდა საქმის წარმოება და ამიტომ ვერ მოხერხდა ექსპერტებისათვის საჯარო რეესტრის ამონაწერის წარდგენა. ნაირა დოლიძემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა მათ საკუთრებაში არსებული ფართის ფლობის დამადასტურებელი საჯარო რეესტრის ამონაწერი.

2.2 სპს „ოაზისს“ არ აქვს სპორტული დარბაზი, აუზი და არც მოედანი. დირექციის განცხადებით ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება მე-4 სართულზე არსებულ სააქტო დარბაზში.

შპს - ოაზისის დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულება დარბაზად იყენებდა მე-4 სართულზე არსებულ ფართს (88 კვ.მ.). სკოლაში სპორტის გაკვეთილებად გათვალისწინებული იყო ჭადრაკი და ტაიკვანდო. ნაირა დოლიძის განმარტებით დარბაზი აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით. დავით კახნიაშვილმა აღნიშნა რომ სპორტული დარბაზი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს. დავით კახნიაშვილმა დამატებით განმარტა, რომ სკოლის სპორტულ დარბაზში უნდა შეიძლებოდეს სხვადასხვა სპორტული სახეობების ჩატარება, თორემ ჭადრაკის ჩატარება შეიძლება ჩვეულებრივ საკლასო ოთახშიც. ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის სპორტული დარბაზის ფანჯრებზე დამაგრებული უნდა იყოს დამცავი ბადეები, რათა არ მოხდეს მინების ჩამსხვრევა და მოსწავლეების დაზიანება. შპს - ოაზისის მიერ სპორტული ღონისძიებების ჩატარებისთვის გამოყოფილ ოთახში ფანჯრები იყო საკმაოდ დაბალ სიმაღლეზე და მათზე ასეთი დამცავი ბადეები არ იყო დამონტაჟებული.

2.3 წიგნადი ფონდის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ არაა ზოგიერთი კლასის ძირითადი სახელმძღვანელოები, მაგალითად: პირველ და მეორე კლასში არ იყო მუსიკის სახელმძღვანელო; მესამე კლასში არ იყო ინგლისური ენის და რუსული ენის სახელმძღვანელოები; მეოთხე კლასში არ იყო უცხო ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა), მუსიკის და ხელოვნების სახელმძღვანელოები; მერვე კლასში არაა ინგლისური ენის სახელმძღვანელო; მეცხრე კლასში არაა ინგლისური ენის და მუსიკის სახელმძღვანელოები; მეათე კლასში არაა მუსიკის და ხელოვნების სახელმძღვანელოები; მეთერთმეტე კლასში არ იყო მათემატიკის, ბიოლოგიის და ხელოვნების სახელმძღვანელოები; მეთორმეტე კლასში არ იყო მათემატიკის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიის და ხელოვნების სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში ასევე არ იყო პერიოდიკა, არც შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმებული პერიოდიკის მიწოდებაზე.

კახი ყურაშვილი დაიტერესდა თუ რატომ არ იყო სკოლის ბიბლიოთეკაში ძირითადი სახელმძღვანელოები. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწყებით კლასებში არსებული სახელმძღვანელოები მთლიანდ მის მიერ იყო ნაყიდი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, მშობლების თხოვნის საფუძველზე აღნიშნული სახელმძღვანელოები მოსწავლეების მიერ დროებით იქნა სკოლიდან გატანილი. სკოლის დირექტორი დაეთანხმა ექსპერტთა დასკვნას და განმარტა, რომ დასკვნაში მოცემული სახელმძღვანელოები სკოლის ბიბლიოთეკაში ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან შპს - ოაზისის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 სკოლის მასწავლებლები მონაწილეობენ პროფესიული განვითარების პროგრამებში. თუმცა, თამარ ჭელიძე, რომლის კვალიფიკაციაა ძიებითი გეოფიზიკის ბაკალავრი, ხელშეკრულების თანახმად აყვანილია ბიოლოგიის მასწავლებლის თანამდებობაზე.

კახი ყურაშვილმა საბჭოს წევრებს შეახსენა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტი, სადაც მოცემულია, რომ 2014 წლის ბოლომდე მასწავლებლად მუშაობის დაწყება შეუძლია მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირს. შესაბამისად, აღნიშნულ შენიშვნას ავტორიზაციის საბჭო ვერ გაითვალისწინებდა.

საბჭომ იმსჯელა **ადამიანური რესურსის** სტანდარტთან შპს - ოაზისის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ოაზისის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 9

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ოაზისს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

3. შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა - ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა - ლიცეუმის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა - ლიცეუმის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა - ლიცეუმის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თეა შაყულაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლი საათობრივი ბადე ეროვნულ სასწავლო გეგმას ნაწილობრივ შეესაბამება. კერძოდ, პირველ კლასში არ ისწავლება ისტ-ი (ინფორმაციული ტექნოლოგიები). ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ისტ-ი სავალდებულო საგანია და მას პირველ კლასში უნდა ეთმობოდეს 1 საათი პირველ სემესტრში. მეექვსე კლასიდან არ ისწავლება მუსიკა, მეშვიდე კლასიდან – ხელოვნება (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მუსიკა და ხელოვნება ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად 6–10 კლასებში სავალდებულო საგნებია). აგრეთვე, მეთორმეტე კლასში არ ისწავლება სპორტი. (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სპორტი სავალდებულო საგანია 1–12 კლასებში). ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სკოლებმა საფეხურის ფარგლებში აუცილებლად უნდა ასწავლონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელსაც სკოლა იყენებს სასწავლო პროცესში. თუმცა, სახელმძღვანელოების ჩამონათვალში გვხვდება წიგნები, რომელთაც არ აქვთ გრიფი (მესამედან მერვე კლასის ჩათვლით ინგლისურს ასწავლიან არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით. კერძოდ, Skinner გამომცემლობა Longman). სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოები და სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე 2010 წლის 3 სექტემბერს.

საბჭოს წევრმა დავით კახიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას უფლება აქვს გამოიყენოს უცხოური სახელმძღვანელო თუ კი მას აქვს საერთაშორისო აღიარება. Longman-ის სახელმძღვანელოები კი მთელს მსოფლიოში არის გავრცელებული, აქედან გამომდინარე, იგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრობლემას ვერ ხედავდა. საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა დავით

კახნიაშვილის მოსაზრებას და განმარტა, რომ მისი აზრითაც შესაძლებელი იყო ქართული გრიფირებული სახელმძღვანელოს ჩანაცვლება მთელს მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელოთი.

1.3 რთული გახდა სპორტის პროგრამის შესაბამისობის დადგენა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. პროგრამაში მითითებული იყო მხოლოდ სპორტული აქტივობების ჩამონათვალი (არ იყო გათვალისწინებული სტანდარტი და მიმართულებები).

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რატომ არ ასწავლიდნენ 12 კლასში სპორტს. აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა - ლიცეუმის დირექტორმა მანანა ჩუხრუკიძემ განმარტა, რომ მათი სკოლის მოსწავლეები ითხოვდნენ ძირითადი საგნების მაგალითად: ქართული ენის, მათემატიკის, ისტორიის სწავლებას. დირექტორმა აღნიშნა, რომ მომავალი წლიდან აუცილებლად შეიტანდა სპორტის სწავლებას. დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ სპორტიც იყო ძირითადი საგანი და მისი სწავლებაც იყო სავალდებულო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს სთხოვა გამოეთქვათ მოსაზრებები მე-12 კლასში სპორტის გაკვეთილების ჩატარების თაობაზე. საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ სპორტის სწავლება უნდა იყოს სავალდებულო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ წლებიდან წელს მე-12 კლასელებისთვის პირველად ჩატარდა საატესტატო გამოცდები და მოსწავლეებს სჭირდებოდათ ძირითად, საგამოცდო საგნებში დამატებითი მეცადინეოები, აქედან გამომდინარე მისი აზრით, მე-12 კლასში სპორტის გაკვეთილების არ ჩატარება მნიშვნელოვან პრობლემას არ წარმოადგენდა. მისი აზრით, კერძო სკოლებს უფლება უნდა ჰქონდეთ თავად განსაზღვრონ სკოლის სასწავლო გეგმა. რაც შეეხება სპორტული ან ესთეტიკური აღზრდის საგნებში კერძო სკოლას უფლება უნდა ჰქონდეს კორექცია შეიტანოს აღნიშნულ დისციპლინებში. თუმცა, დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საგნები სულ მცირე 1 საათით მაინც უნდა ისწავლებოდეს. დავით კახნიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ კერძო სკოლებში თუ ბავშვების მხრიდან არ იქნება დაინტერესება, რომ ასწავლონ ესთეტიკური ან სპორტული საგნები, აღნიშნული საგნების სწავლებას ისინი მხოლოდ ფორმალურად, ტყუილად ვერ ჩასვავენ გაკვეთილების ცხრილში, რადგან მოსწავლის მშობლები თავიანთი შვილების განათლებისთვის იხდიან შესაბამის თანხას. საბჭოს წევრი ანა კლდიაშვილი დაეთანხმა დავით კახნიაშვილის მოსაზრებას.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ისინი მოსწავლეთა მოთხოვნათა გათვალისწინებით აუცილებლად ჩასვავდნენ სპორტის გაკვეთილებს მე-12 კლასში. ასევე პირველივე კლასიდან დაიწყებდნენ ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლებას.

საბჭომ იმსჯელა **საგანმანათლებლო პროგრამების** სტანდარტთან შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა - ლიცეუმის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს „წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“- ქ. გორში, დანიელ ჭონქაძის ქუჩა №2-ში, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე

ფლობს 2716 კვ.მ. ფართს. (01/02/201 – მოქმედების ვადა 12 წელი). აღნიშნული ხელშეკრულება ვიზიტის მომენტისთვის არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც დარეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ არსებობდა. დაწესებულებას გააჩნდა სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სპორტული დარბაზი და ღია მოედანი, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების ჩატარება.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა - ლიცეუმის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ მისი აზრით, სახეზე გვქონდა რამდენიმე დარღვევა: კერძოდ, პირველ კლასში ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლებისა და მე-12 კლასში სპორტის სწავლების გაუთვალისწინებლობა, საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, აღნიშნული არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას შესაბამისად, პროგრამულ ნაწილში სტანდარტის დაკმაყოფილება სადაოდ მიაჩნია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა - ლიცეუმს მიენიჭოს ავტორიზაცია 5 წლის ვადით და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 679-ით.

4. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ზინაიდა ჩხაიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 დაწესებულების შინაგანაწესის 5.4 მუხლის (სასწავლო მეთოდური საბჭო) თანახმად, სასწავლო მეთოდური საბჭო განიხილავს სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმებით დადგინდა, რომ სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ განიხილა და თავადვე დაამტკიცა საგანმანათლებლო პროგრამები, რაც დასტურდება საბჭოს 2011 წლის 25 მარტის №2 ოქმით. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ.

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ დირექტორმა გიორგი ბერაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების შინაგანაწესში მოცემული იყო ნორმა, რომლის მიხედვითაც მეთოდური საბჭოს სხდომებს უძღვებოდა დირექტორი. ამიტომ იგი აღნიშნულთან დაკავშირებით ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავდა. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა ფორმით ფორმდებოდა სასწავლო მეთოდურ საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებები და რა აქტებს გამოსცემდა დირექტორი. გიორგი ბერაია მ აღნიშნა, რომ სასწავლო მეთოდურ საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდებოდა ოქმით, ხოლო დირექტორი გამოსცემდა ბრძანებებს. კახი ყურაშვილი დაინტერესდა არსებობდა თუ არა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ დირექტორის ბრძანება სასწავლო მეთოდური საბჭოს განხილვის შედეგად მიღებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების თაობაზე. გიორგი ბერაიამ განმარტა, რომ ასეთი ბრძანება არსებობდა. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების დირექტორს სთხოვა საბჭოსთვის წარმოედგინა აღნიშნული ბრძანება. მომხსენებელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ წარმომადგენლებს აღნიშნული ბრძანება მათთვის არ წარმოუდგენიათ.

1.2 მისანიჭებელი კვალიფიკაციები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართს (დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი/კლასიფიკატორი) და პროფესიულ სტანდარტებს, გარდა კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის I-IV საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებით მისანიჭებელი კვალიფიკაციებისა.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია კლასიფიკატორით/სტანდარტით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია პროგრამით
არქიტექტორ-ტექნიკოსის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	არქიტექტურული ფოტოგრაფირების სპეციალისტის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
არქიტექტორ-ტექნიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	არქიტექტურული მოდელირების (მაკეტირება) სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
არქიტექტორ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	არქიტექტურული დეტალების მძერწავ-მემოდელე სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	არქიტექტურული გრაფიკის ოპერატორი-სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პრპფესიული კვალიფიკაცია

გიორგი ბერაიამ აღნიშნა, რომ მათ წარმოდგენილი ჰქონდათ 21 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მხოლოდ 4 მათგანში იყო დაშვებული მსგავსი შეცდომა. მისი აზრით ამ შეცდომების მიზეზი იყო ის, რომ არქიტექტორ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დამტკიცებულია 2010 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად, დაწესებულებამ კვალიფიკაციები განსაზღვრა აღნიშნული სტანდარტის მიხედვით. საბჭოს თავმჯდომარე დაინტრესდა შევიდა თუ არა ცვლილებები 2010 წლის 31 დეკემბრის შემდეგ არქიტექტორ-ტექნიკოსის პროფესიულ სტანდარტში. ზინაიდა ჩხაიძემ განმარტა, მათ დაწესებულების მიერ შედგენილი არქიტექტორ-ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა შეამოწმეს იმ სტანდარტით, რომელიც ძალაში იყო ავტორიზაციის ექსპერტთა დაწესებულებაში ვიზიტის დროს.

კახი ყურაშვილმა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ დირექტორს განუმარტა, რომ როდესაც ნორმატიულ აქტში შედის ცვლილებები, არცერთი ადმინისტრაციული ორგანო არ არის ვალდებული შეატყობინოს დაინტერესებულ პირებს აღნიშნული ცვლილებების თაობაზე. თვითონ დაწესებულება იყო ამ შემთხვევაში ვალდებული გაცნობოდა საკანონმდებლო ნოვაციას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეედგინა სახეცვლილი არქიტექტორ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტის მიხედვით. გიორგი ბერაიამ საბჭოს მოახსენა, რომ მათ აღნიშნული ცვლილებების თაობაზე არაფერი იცოდნენ.

საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სახეზე გვქონდა პრობლემა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. მან ასევე დაამატა, რომ თავდაპირველად როდესაც დამტკიცდა არქიტექტორ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი, იგი კვალიფიკაციებს ანიჭებდა ისე, როგორც ეს განსაზღვრული აქვს შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ სტანდარტში შევიდა ცვლილებები და მისანიჭებელი კვალიფიკაციები სხვაგვარად ჩამოყალიბდა, რაც, როგორც ჩანს, შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ წარმომადგენლებმა აღარ გაითვალისწინეს. გიორგი

ბერაიამ აღნიშნა, რომ მათ აღნიშნული ხარვეზები უკვე გამოსწორებული ჰქონდათ. კახი ყურაშვილი დაინტერესდა თუ როდის მოხდა მოცემული ხარვეზების გამოსწორება. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ დირექტორმა განმარტა, რომ მათ არქიტექტორ-ტექნიკოსის პროგრამაში დაფიქსირებული შენიშვნები გაასწორეს ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ. საბჭოს თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო მხედველობაში იღებდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულებაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

1.3 დაწესებულების წესდების VII თავის მე-2 პუნქტის მიხედვით: საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგია“-ში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების ყველა საფეხურზე და ყველა კურსზე ECTS-ის მიხედვით შემოღებულია 100 ქულიანი შეფასების სისტემა“. რაც ეწინააღმდეგება პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/6 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“. თუმცა, დაწესებულების მიერ გამოყენებული პრაქტიკა შესაბამისობაშია ზემოთ აღნიშნულ ნორმატიულ აქტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტმა კახაბერ ერაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია პროფესიული პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი. ექსპერტმა ავტორიზაციის საბჭოს შეახსენა, რომ ECTS-ის სისტემა გამოიყენებოდა მხოლოდ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და არა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისას. კახაბერ ერაძემ აღნიშნა რომ შინაარსობრივად ECTS-ის შეფასების სისტემა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა იყო იდენტური, თუმცა საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ მარეგულირებელ აქტში ექსპერტთა მოსაზრებით, ECTS არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა არ გაიზიარეს ექსპერტთა აღნიშნული შენიშვნა, რადგან დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი რეალურად შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან.

1.4 პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე და ბუღალტრისა და სასტუმრო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროგრამებზე სტუდენტთა დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე საფეხურებზე დაშვების წინაპირობები არასრულყოფილია, კონკრეტულად კი საგანმანათლებლო პროგრამები არ ითვალისწინებენ იმ პირთა ჩარიცხვის შესაძლებლობას, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აქვთ არაფორმალური პროფესიული განათლება, რაც დასტურდება წარმოდგენილი პროგრამებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როგორ ჰქონდა დაწესებულებას განსაზღვრული პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. მომხსენებელმა განმარტა, რომ დაწესებულებას სასტუმროს საქმისმწარმოებლის მე-3 საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებად მითითებული იყო - სრული ზოგადსაგანმანათლებლო კურსი, უცხო ენის ცოდნა და გასაუბრება. საბჭოს წევრი ლალი ლოღელიანი დაეთანხმა ექსპერტთა აღნიშნულ

შენიშვნას და აღნიშნა რომ დაწესებულებამ პროფესიულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობად ვალდებულია ასევე გაითვალისწინოს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაც.

გიორგი ბერაიამ განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებობს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, სადაც გაწერილია, რომ პროფესიული სტუდენტის შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიაში“ გადმოსვლის შემთხვევაში, სტუდენტის გადმოყავნის საკითხს იხილავს დირექტორის მიერ შექმნილი კომისია, რომელიც ახდენს ამ სტუდენტის მიერ სხვა სასწავლებელში მიღებული განათლების აღიარებას. ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ ეს ნორმა მოცემული უნდა ყოფილიყო დაწესებულების მიერ შედგენილ ყველა პროფესიულ პროგრამაში.

1.5 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ. მისანიჭებელი კვალიფიკაციები მითითებულია ყველა პროგრამისათვის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები ზოგ შემთხვევაში შემცირებულია და სრულად არ შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგები გაწერილი არ არის ცალკეული კომპეტენციების მიხედვით. მაგალითად: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის ხუთივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები კატალოგში სრულად არ ემთხვევა პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგთან დაკავშირებით საბჭოს აქამდეც არაერთხელ ჰქონდა ნამსჯელი. კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის ფორმატი არ გულისხმობს იმას, რომ პროგრამა ერთიერთზე იყოს მასში გადმოტანილი. ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ კატალოგი თავისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა იყოს უფრო ზოგადი ვიდრე პროგრამა და არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული შენიშვნა არ გაითვალისწინა.

1.6 კატალოგში, ზოგ შემთხვევაში, არეულია პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. მაგალითად:

ა) გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, პროგრამის სახელწოდებაა „სამკერვალო ნაწარმის შემსრულებელი“ ხოლო კატალოგის მიხედვით - „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“, პროგრამის მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პირველი საფეხურის კვალიფიკაცია“ ხოლო კატალოგის მიხედვით - „სამკერვალო ნაწარმის შემსრულებელი“, სწავლების საფეხური ამ შემთხვევაში საერთოდ არ არის მითითებული.

ბ) პროფესიული განათლების მეორე საფეხურის პროგრამის მიხედვით, პროგრამის სახელწოდებაა „სამრეწველო ინდუსტრიული ნაწარმის შემსრულებელი“, ხოლო კატალოგის მიხედვით - „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“. პროგრამის მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“, ხოლო კატალოგის მიხედვით - „სამრეწველო-ინდუსტრიული ნაწარმის შემსრულებელი“ და საერთოდ არ მიეთითება საფეხური. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ასეთი ხარვეზები მეორდება სხვა პროგრამებთან მიმართებაშიც.

საბჭოს წევრმა ლალი ლოდელიანმა საბჭოს მოახსენა, რომ აბოტურიენტი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის ნახვის შემდგომ აუცილებლად ხვდება საინფორმაციო ცენტრში, სადაც დეტალურადაა მოცემული ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

1.7 კატალოგში აგრეთვე გამოყენებულია ტერმინები: „უნივერსიტეტი“, „აკადემიური მიზნები“, „აკადემიური ინფორმაცია“, აგრეთვე დაწესებულების მისიაში ვკითხულობთ, რომ დაწესებულება სრულად შეესაბამება ბოლონის პროცესს. აღნიშნული უფრო ადეკვატური იქნებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და არა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

საბჭოს წევრი ლალი ლოდელიანი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ აკადემიური პროგრამები. გიორგი ბერაიამ აღნიშნა, რომ აკადემიური პროგრამები მათ ჰქონდათ მიღევად რეჟიმში. დირექტორმა ასევე განმარტა, რომ აღნიშნული სიტყვები უკვე ამოღებულია როგორც პროგრამათა კატალოგიდან აგრეთვე დაწესებულების მისიიდანაც.

1.8 დაწესებულების სასწავლო-მეთოდური საბჭოს 2011 წლის 27 იანვრის №1 ოქმით დამტკიცებულია „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები“. აღნიშნული დოკუმენტი არ შეიცავს დებულებებს პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების (კრედიტების) ჩათვლის ან მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების პირობების ან პროცედურის შესახებ, რისი დამტკიცების ვალდებულებაც დაწესებულებას გააჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანებით დამტკიცებული „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. მომხსენებელმა დაამატა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში მოცემული ცალკე თავი სათაურით არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება, თუმცა რეალურად აღნიშნული თავი არეგულირებს პროფესიული დიპლომის გაცემის წესებს.

გიორგი ბერაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, სადაც გაწერილია, რომ პროფესიული სტუდენტის შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიაში“ გადმოსვლის შემთხვევაში, სტუდენტის გადმოყვანის საკითხს იხილავს დირექტორის მიერ შექმნილი კომისია, რომელიც ახდენს ამ სტუდენტის მიერ სხვა სასწავლებელში მიღებული განათლების აღიარებას. შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი. გიორგი ბერაიამ წარმოადგინა სასწავლო პროცესის განმსაზღვრელი დებულება. კახი ყურაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო გიორგი ბერაის მიერ წარმოდგენილი დებულება, რომლის თანახმადაც, კოლეჯში სტუდენტის გადმოყვანის საკითხს იხილავს დირექტორის მიერ დანიშნული კომისია სხვა სასწავლებელში მიღებული ცოდნის აღიარებისა და გასაუბრების საფუძველზე. ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტი შინაარსიდან გამომდინარე მოიცავდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასაც. საბჭოს წევრმა იოსებ სალუქვაძემ განმარტა, რომ მისი აზრით, აღნიშნული ჩანაწერით შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიაში“ უზრუნველყოფილი იყო პროფესიული პროგრამების არაფორმალური აღიარება. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნული შენიშვნა არ გაითვალისწინა.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

2.1 დაწესებულების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა ხდება მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ქარხნის ტრანსფორმატორიდან და მოწოდებული ენერგიის საფასურის ანგარიშწორება ხდება ნაღდი თანხით, რაზეც წარმოდგენილია ხელშეკრულება ელექტროენერგიის მოწოდების და გადახდის პირობების შესახებ, თუმცა ვერ ხერხდება ხელშეკრულების დადების თარიღისა და მისი მოქმედების ვადის იდენტიფიცირება.

ზინაიდა ჩხაიძემ განმარტა, რომ შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ გამრიცხველიანება არ ჰქონდა ცალკე. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა ელექტროენერგია შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ ექსპერტთა ვიზიტის დროს, რაზეც ექსპერტებისგან მიიღო დადებითი პასუხი. კახი ყურაშვილის განმარტებით, სტანდარტის თანახმად დაწესებულებაში უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა და სხვა. არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ როგორ იღებდა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგია“ ელექტროენერგიას ცალკე თელსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე თუ სხვა რაიმე საშუალებით. ავტორიზაციის საბჭომ მოცემული შენიშვნა არ გაიზიარა.

2.2 კონსტრუირებისა და მოდელირების სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის სახით მითითებულია „კონსპექტები, ატლასები, ჟურნალები, ესკიზები, ტექნიკური ნახატები“. ეს მასალები ფიზიკურად იქნა წარმოდგენილი, თუმცა დაწესებულების მფლობელობაში მათი ყოფნა არ დასტურდება. ისინი არ არის შეტანილი კატალოგში და არა აქვთ მინიჭებული საინვენტარო ნომერი.

გიორგი ბერაია დაეთანხმა ექსპერტთა შენიშვნას და აღნიშნა რომ 1523 წიგნიდან დაახლოებით 10-15 წიგნი გამორჩათ და შესაბამისად ვერ მოხერხდა მათი კატალოგში შეტანა. დღეის მდგომარეობით აღნიშნული წიგნებიც კატალოგში უკვე შეტანილი იყო.

2.3 ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სასწავლო ლიტერატურა ძალიან ზოგადადაა მითითებული. მაგალითად: ტანსაცმლის მხატვრული გაფორმების სასწავლო კურსის სილაბუსში სასწავლო ლიტერატურად მითითებულია „სხვადასხვა მასალები“, ხოლო სამკერვალო მოწყობილობის და უსაფრთხოების ნორმების სასწავლო კურსის სილაბუსში, სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია „სხვადასხვა სამკერვალო მოწყობილობების მოკლე ბროშურები“, რაც შეუძლებელს გახდის სტუდენტისათვის ბიბლიოთეკის კატალოგში მათ ზუსტ მოძიებას. ასეთი ხარვეზები არის სხვა თანდართულ სილაბუსებშიც.

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ დირექტორმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში მითითებული იყო ძირითადად ისეთი ლიტერატურა, როლემიც ქართულ ენაზე არ იყო ნათარგმნი და რომელთა მოპოვებაც სტუდენტებისთვის იყო საკმაოდ რთული. სხვადასხვა ლიტერატურასი დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით იგულისხმებოდა ნათარგმნი კონსპექტები. ლალი ლოღელიანი დაეთანხმა, რომ ტანსაცმლის მხატვრული გაფორმების სასწავლო კურსი იყო ახალდანიერგული და სპეციფიკური, შესაბამისად, ქართულ ენაზე სათანადო ლიტერატურა არ არსებობდა.

2.4 კოლეჯის სასწავლო მეთოდური საბჭოს მიერ 2011 წლის 27 იანვარს #1 ოქმით განხილულ და მიღებულ იქნა სტრატეგიული განვითარების გეგმა 2010 -2016 წლებისათვის. აღნიშნული გეგმა 2011 წლის 28 იანვრის #2 ოქმით დამტკიცდა პარტნიორთა კრების მიერ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ინტეგრირებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში მე-5 თავის სახით. გეგმის ზოგიერთი დებულება წინააღმდეგობაში მოდის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლთან, კერძოდ, კანონში მოცემულია პროფესიული განათლების

მასწავლებლის ცნება, ხოლო გეგმის დებულებებში, ასევე სხვა აქტებში (მაგ: წესდება, ვებგვერდი) განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება. აგრეთვე, სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-5 თავის მე-5 პუნქტი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „აკადემიური პერსონალისათვის ეფექტიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობის პირობების შექმნა, კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვა“. ამავე თავის მე-12 პუნქტი სტრატეგიულ მიზნად ადგენს „სასწავლო წლის დასაწყისში ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის კოეფიციენტების განსაზღვრა“, მსგავსი ხარვეზები დადგენილია ამავე თავის მე-16 პუნქტში, შეფასების ინდიკატორების მე-2 პუნქტში, ხოლო დასკვნით ნაწილში კოლეჯი მიზნად ისახავს ბოლონის პროცესთან ჰარმონიზებას, კერძოდ: „კოლეჯის გრძელვადიანი განვითარების წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს კოლეჯის საქმიანობის და ბოლონის პროცესის ჰარმონიზებას. თუ გავანალიზებთ ჩვენს მიერ დასმულ ამოცანებს და შევადარებთ მას ბოლონის ამოცანებს, ნათლად დავინახავთ, რომ დასახული სამოქმედო გეგმის შესრულებით არამარტო აღმოიფხვრება ნაპრალი ჩვენი კოლეჯის დღევანდელ მდგომარეობასა და ბოლონის პროცესს შორის, არამედ 2016 წლისათვის ის გახდება ამ პროცესის სრულყოფილებიანი, აქტიური და ანგარიშგასაწევი მონაწილე“ აღნიშნული კი არ წარმოადგენს საზოგადოებრივი კოლეჯის პრეროგატივებს.

საბჭოს თავმჯდომარე შეეკითხა მომხსენებელს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული ერთ წლიანი და 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები. ზინაიდა ჩხაიძემ განმარტა, რომ ერთ წლიანი და 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები დაწესებულებას გააჩნდა. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ სტრატეგიულ გეგმებში დასახული მიზნების შეფასება და განხილვა სცილდებოდა მათ კომპეტენციას.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

3.1 მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად, ექსპერტებს ეჭვი გაუჩნდათ შემდეგი მასწავლებლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით:

1. ლ. ჭანტურია - ასწავლის საბუღალტრო კომპიუტერულ პროგრამებს. აქვს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, თუმცა, მის პირად საქმეში არ მოიპოვება დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მის კვალიფიციურობას აღნიშნული სასწავლო კურსის წასაკითხად.

გიორგი ბერაიამ საბჭოს წარუდგინა საქართველოს საინჟინრო-ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული ინსტიტუტის მიერ ლ. ჭანტურიაზე გამცემული ცნობა, რომლის თანახმადაც ჭანტურია 2005 წლიდან მუშაობდა აღნიშნულ ინსტიტუტში და კითხულობდა ლექციებს ძირითად ეკონომიკურ დისციპლინებში. კახაბერ ერაქემ განმარტა, რომ ლ. ჭანტურიას ჰქონდა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, თუმცა საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა იყო სპეციფიკური და ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნულ პიროვნებას არ ჰქონდა სათანადო კვალიფიკაცია, რათა ესწავლებინა მოცემული დისციპლინა. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რომელი სასწავლებელი ანიჭებდა კონკრეტულად საბუღალტრო კომპიუტერულ პროგრამების სპეციალისტის კვალიფიკაციას. ლ. ჭანტურიას წარმოდგენილი მასალების მიხედვით ჰქონდა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და ინსტიტუტში წლების განმავლობაში ასწავლიდა ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტს.

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ წარმომადგენლემ აღნიშნა, რომ ისინი 3 მასწავლებელთან დაკავშირებით ეთანხმებოდნენ ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს. შესაბამისად ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულებაში ვიზიტის დასრულების შემდგომ

გიორგი ბერაიამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც თანამდებობიდან გაათავისუფლა შემდეგი მასწავლებლები: ი. ბურძღლა, ე. ზაკაშვილი და ს. გეგეშიძე.

2. მ. გაბუნია - ასწავლის არჩევით უცხო ენას. განათლებით არის ჟურნალისტი. გარდა პირად საქმეში წარმოდგენილი რეზიუმისა (CV), მისი უცხო ენის ცოდნის/სწავლების ფაქტი არ დასტურდება.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ მ. გაბუნიას ჩაბარებული ჰქონდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც შემდგომ გადავიდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რისი კვალიფიკაცია ჰქონდა მინიჭებული გაბუნიას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მ. გაბუნიას დიპლომით მინიჭებული ჰქონდა ჟურნალისტიკის კვალიფიკაცია. გიორგი ბერაიამ განმარტა, რომ გაბუნია მათ დაწესებულებასი ასწავლიდა რუსულ ენას და მას ჰქონდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსულის პედაგოგად მუშაობის 6 წლიანი გამოცდილება. შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია გიორგი ბერაიამ წარუდგინა საბჭოს წევრებს. საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომლებს სთხოვა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ წარმოდგენილი დოკუმენტაცია თან დაერთოთ საქმისთვის.

3. მ. გოგილაშვილი - ასწავლის ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლებს. განათლებით არის ფილოლოგი (ინგლისური და ფრანგული ენა). გარდა პირად საქმეში წარმოდგენილი რეზიუმისა (CV), მისი აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის ქონა არ დასტურდება. ის ასევე ვერ აკმაყოფილებს პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის მიმართ, წაყენებულ დამატებით პირობებს („დიდ სასტუმროში მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება ან/და სასტუმრო საქმისმწარმოებლის IV და V საფეხურის პროფესიული დიპლომი“).

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ „გეორგიას“ დირექტორმა აღნიშნა, რომ გოგილაშვილს ჰქონდა ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიული სტანდარტის მიხედვით მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკულ სფეროში (სასტუმროში) მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება. მ. გოგილაშვილს კი ჰქონდა ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში პედაგოგად მუშაობის გამოცდილება. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო ექსპერტის პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იზიარებდა.

4. „სასტუმრო საქმისმწარმოებლის“ პროფესიული სტანდარტი განსაზღვრავს დამატებით მოთხოვნებს აღნიშნული პროგრამის პროფესიული მასწავლებლებისათვის. კერძოდ: „დიდ სასტუმროში მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება ან/და სასტუმრო საქმისმწარმოებლის IV (I-III საფეხური) და V (IV-V საფეხური) საფეხურის პროფესიული დიპლომი“. დაწესებულების მასწავლებელი მაია მურაჩაშვილი (ყოფილი გვარი ნოზაძე) ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის ვერც ერთ დამატებით პირობას. მას არ უმუშავია დიდ სასტუმროში 5 წელი და არა აქვს პროფესიული დიპლომი, თუმცა აქვს უფრო მაღალი საფეხურის დიპლომები, მათ შორის უცხოეთში მიღებული.

დაწესებულების წარმომადგენლებმა, ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინეს მაია მარუჩაშვილის უცხოეთის სასტუმროებში მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გამოავლინა რომ წარმოდგენილ პირს სასტუმროს საქმისმწარმოებლის დარგში დამთავრებული ჰქონდა 2 წლიანი კოლეჯი და ნამუშევარი ჰქონდა 3 სხვადასხვა სასტუმროში.

5. „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის“ პროფესიული სტანდარტი განსაზღვრავს დამატებით მოთხოვნებს ამ პროგრამის პრაქტიკის ინსტრუქტორებისათვის კერძოდ: „პრაქტიკის ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება“. პროგრამის პრაქტიკის ხელმძღვანელის მ. დინუაშვილის პირად საქმეში, გარდა რეზიუმისა (CV), სხვა დოკუმენტით არ დასტურდება მისი მუშაობის 3 წლის გამოცდილება, რასაც მოითხოვს პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული მასწავლებლებისათვის წაყენებული დამატებითი მოთხოვნები.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა თუ როგორ მოხდა მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმება. ზინაიდა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა შეამოწმეს მასწავლებელთა პირადი საქმეები. მომხსენებელმა აღნიშნა რომ პირად საქმეები არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი. იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა თუ რა დოკუმენტები იდო მასწავლებელთა პირად საქმეებში. კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ პირად საქმეებში მოცემული იყო CV, მასწავლებლის ფოტოსურათი და დიპლომი. კახაბერ ერაძემ დაამატა რომ პროფესიულ სტანდარტში მოცემული იყო, რომ პრაქტიკის ხელმძღვანელს უნდა ჰქონოდა 3 წლიანი პროფესიული მუშაობის გამოცდილება, რაც ვერ დასტურდებოდა პირად საქმეში მოცემული დოკუმენტაციით. დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ დინუაშვილი მასწავლებლად მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. გიორგი ბერაიამ განმარტა, რომ დინუაშვილი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იყო პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელი. შესაბამისად, დინუაშვილს ჰქონდა კომპიუტერულ საინჟინრო გრაფიკასთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. ლალი ლოღელიანმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში მისი აზრით სტანდარტთან შეუსაბამობა სახეზე არ გვქონდა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა.

6. „არქიტექტორ-ტექნიკოსის“ პროფესიული სტანდარტი განსაზღვრავს დამატებით მოთხოვნებს ამ პროგრამის პროფესიული მასწავლებლებისათვის კერძოდ: „მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება“. მასწავლებლების ჯ. მალაღურაძის, მ. ყალაბეგაშვილის, ზ. კიკნაძის, რ. ინაძის, ი. ხართიშვილის, ნ. ქიქოძის, მ. მალღურაძის, მ. ბრელიძის, მ. ძიმიგურის პირად საქმეებში, გარდა რეზიუმისა (CV), სხვა დოკუმენტით მათი მუშაობის 3 წლის გამოცდილება არ დასტურდება, რასაც მოითხოვს პროფესიული სტანდარტის დამატებითი მოთხოვნები, ხოლო გ. ჯაველიძის შემთხვევაში, პირად საქმეში რეზიუმეც არა არის წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ჯაველიძის დიპლომი. კახი ყურაშვილმა საბჭოს გააცნო აღნიშნული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ჯაველიძეს მინიჭებული ჰქონდა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია. სამხატვრო აკადემიაში 2007 წლის პირველი ოქტომბრიდან მუშაობდა პედაგოგად. ავტორიზაციის საბჭოს მიიჩნიეს, რომ გ. ჯაველიძის პირადი საქმის შესწავლით დასტურდებოდა მისი პროფესიით მუშაობის გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ 22:00-სთ-ზე გამოაცხადა შესვენება.

სხდომა განახლდა 22:35-ზე.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ მისი აზრით რამდენიმე მასწავლებელთან დაკავშირებით თავად შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ წარმომადგენელთა აღიარებით არსებობდა პრობლემა, კერძოდ სტანდარტის თავისებურებიდან გამომდინარე მასწავლებელს უნდა ჰქონოდა სასტუმროში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს მუშაობდა 3 პედაგოგი (ი. ბურმგლა, ე. ზაკაშვილი და ს. გეგეშიძე), რომლებსაც არ გააჩნდათ შესაბამისი კვალიფიკაცია ან სათანადო მუშაობის გამოცდილება. მეორე პრობლემა მდგომარეობდა 4 პროფესიული პროგრამის კვალიფიკაციის შეუსაბამობაში და

არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, თუ როდის შეიცვალა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ნებისმიერ აქტში ცვლილებების შეტანა არის საჯარო, ქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და არავინ არაა ვალდებული დაინტერესებულ პირებს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. მიუხედავად ამ შენიშვნებისა საბჭოს წევრთა უმრავლესობის აზრით, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“, უნდა მიეცეს შანსი, რომ განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რასაც ის პირადად არ ეთანხმება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 3

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ მიენიჭოს ავტორიზაცია და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 416-ით.

5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

დაწესებულების **სასწავლო ფართი** აქვს რამდენიმე მისამართზე, მათ შორის ერთ-ერთზე აღმოჩნდა განსხვავებული ციფრი, ვიდრე ის დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში იყო მითითებული.

№	მისამართი	კვ.მ.
1	შოთა რუსთაველის გამზ. N 19	1640.08(დაწესებულების მიერ მითითებული)
		1518.64 (ადგილზე დათვალიერებით)

დაწესებულების **დამხმარე ფართი** აქვს რამდენიმე მისამართზე, მათ შორის ერთ-ერთზე აღმოჩნდა განსხვავებული ციფრი, ვიდრე ის დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში იყო მითითებული.

№	მისამართი	კვ.მ.
1	შოთა რუსთაველის გამზ. N 19	2239.52(დაწესებულების მიერ მითითებული)
		2360.96 (ადგილზე დათვალიერებით)

შენიშვნა №1: შოთა რუსთაველის გამზირი №19-ში განლაგებულ 4 აუდიტორია ფართობით: 27.14 კვ.მ.; 39.64 კვ.მ.; 25.91 კვ.მ.; 28.76 კვ.მ. რომელიც გვამღვს საერთო ფართობს – 121.44 კვ.მ., არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით და არსებობს მხოლოდ ხელოვნური ელ. განათება.

შენიშვნა №2: დაწესებულებას ასევე გააჩნია ღია სცენა და მაყურებელთა განთავსების ადგილი, რომლის საერთო ფართი შეადგენს 350.00 კვ.მ., უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება ამ ფართს

იყენებს სასწავლო მიზნებისთვის, მაგრამ თვითშეფასების ანგარიშში ეს ფართი არ იყო მითითებული.

საბჭოს წევრი იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა ფანჯარა შოთა რუსთაველის გამზირის №19-ში განლაგებულ 4 აუდიტორიას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოცემულ ოთახებს ფანჯარა არ ჰქონდათ. დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სპეციპიკიდან გამომდინარე აღნიშნულ ფართს ისინი იყენებდნენ თოჯინების თეატრის სპექტაკლების წარმოსადგენად. მოცემული ღონისძიების ჩასატარებლად კი საჭირო არ იყო ბუნებრივი განათების არსებობა. მიუხედავად ამისა, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ისინი იზიარებდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა შენიშვნას და მზად იყვნენ, რომ აღნიშნული ფართი არ ჩათვლიდათ სასწავლო ფართში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას თვითშეფასების კითხვარის მატერიალურ რესურსში დაფიქსირებული ღია სცენა (350 კვ.მ.). სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა საბჭოს მოახსენა, რომ აღნიშნული სცენას აქტიურად იყენებდნენ სასწავლო პროცესში, კერძოდ ამ სცენაზე ატარებდნენ ღია გამოცდებს, ფესტივალებს, სპექტაკლებს და სხვა. შესაბამისად, მათ მიაჩნდათ, რომ მოცემული ფართი უნივერსიტეტს უნდა ჩათვლიდა სასწავლო ფართად.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი აზრით სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ფართში უნდა ჩათვლილიყო 350 კვ.მ-ის ღია სცენა, რადგანაც დაწესებულება მას იყენებდა სასწავლო პროცესისთვის. რაც შეეხება 4 აუდიტორიას (121.44 კვ.მ.), სადაც არ იყო ბუნებრივი განათება - უნდა ჩათვლილიყო დამხმარე ფართად. ავტორიზაციის საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ კახი ყურაშვილის მოსაზრებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 1657-ით.

6. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებს საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამინურ რესურსთან დაკავშირებით შენიშვნები არ ჰქონდათ.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქუთაისის უნივერსიტეტს მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 505-ით.

7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიგი თევზაძის მიერ გაცემული მინდობილობა, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე მაია თევდორაძე უფლებამოსილი იყვნენ წარმოედგინათ აღნიშნული უნივერსიტეტი. საბჭოს თავმჯდომარემ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სურვილია უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განახორციელოს, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ორი დასკვნა მოამზადა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით, არსებობს შემდეგი შენიშვნები.

2. პროგრამულ რესურსთან დაკავშირებით

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამები, რომელშიც გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციები არ შეესაბამება „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მეოთხე დანართით გათვალისწინებულ „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალს“. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ სურთ აღნიშნული კვალიფიკაციების დამატება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე დანართის შესაბამისად.

კერძოდ:

აკადემიური უმაღლესი განათლების	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
--------------------------------	--	---------------------------

საფეხური	ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	
ბაკალარიატი	ჰუმანიტარული მეცნიერებები: საქართველოსმცოდნეობა, ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია და არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, კულტურის მენეჯმენტი, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება (Maj/Min), ნიდერლანდისტიკა (Min)	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი საქართველოსმცოდნეობაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ანგლისტიკაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი გერმანისტიკაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ესპანისტიკაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი საფრანგეთისმცოდნეობაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი იტალიისმცოდნეობაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სლავისტიკაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი აღმოსავლეთმცოდნეობაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ხელოვნებათმცოდნეობაში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი კულტურის მენეჯმენტში/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში
	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) (Maj)	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი გეოგრაფიაში/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი გეოლოგიაში/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

		ბაკალავრი გეოფიზიკაში
მაგისტრატურა	პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია)	პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრი/ საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი/ ევროპისმცოდნეობის მაგისტრი/ კავკასიური კვლევების მაგისტრი/ საბჭოთა კვლევების მაგისტრი/ პოლიტიკის ანთროპოლოგიის მაგისტრი
	ინფორმაციის მენეჯმენტი	ინფორმაციის მენეჯმენტის მაგისტრი
	განათლების ადმინისტრირება	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მათემატიკის მასწავლებელი, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი, უცხო ენების (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) მასწავლებელი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/მუსიკის მასწავლებელი)	განათლების მაგისტრი ქართული ენისა და ლიტერატურის დიდაქტიკაში/ განათლების მაგისტრი მათემატიკის დიდაქტიკაში/ განათლების მაგისტრი საზოგადოებრივი მეცნიერებების დიდაქტიკაში/ განათლების მაგისტრი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დიდაქტიკაში/ განათლების მაგისტრი ინგლისური ენის დიდაქტიკაში/ განათლების მაგისტრი გერმანული ენის დიდაქტიკაში/ განათლების მაგისტრი ფრანგული ენის დიდაქტიკაში/ განათლების მაგისტრი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/მუსიკის დიდაქტიკაში
	უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა	ფილოლოგიის მაგისტრი ანგლისტიკაში/ გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი/ რომანული ფილოლოგიის მაგისტრი/ ლიტერატურის შედარებითი კვლევების მაგისტრი
	შუა საუკუნეების კვლევები	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი შუა

		საუკუნეების კვლევებში
	სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი თეატრმცოდნეობაში/ ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი კინომცოდნეობაში/ ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი დრამის რეჟისურაში/ ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი დრამატურგიაში/ ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი სცენოგრაფიის ხელოვნებაში/ მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი/ ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი კულტურის მენეჯმენტში
	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია, ბიოლოგიური რესურსების მენეჯმენტი და დაცვა, ენტომოლოგია, მოლეკულური ბიომეცნიერებები, ბიოფარმაცია, ნეირომეცნიერებები)	ეკოლოგიის მაგისტრი/ ბიოლოგიური რესურსების მენეჯმენტის მაგისტრი/ ენტომოლოგიის მაგისტრი/ მოლეკულური ბიომეცნიერებების მაგისტრი/ ბიოფარმაციის მაგისტრი/ ნეირომეცნიერებების მაგისტრი
	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, მეტეოროლოგია)	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი გეოლოგიაში/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი გეოფიზიკაში/ გეოგრაფიის მაგისტრი გეოგრაფიულ საინფორმაციო ტექნოლოგიებში/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი მეტეოროლოგიაში
დოქტორანტურა	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია)	გეოლოგიის დოქტორი/ გეოფიზიკის დოქტორი/ გეოგრაფიის დოქტორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ დავით კერესელიძემ ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მე-5 დანართის პირველი მუხლის მე -2 პუნქტის

შესაბამისად სსსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს თანხმობას აძლევს განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მიითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	ჰუმანიტარული მეცნიერებები: საქართველოსმცოდნეობა, ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, კულტურის მენეჯმენტი.	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი/ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი საქართველოსმცოდნეობაში; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ანგლისტიკაში; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი გერმანისტიკაში; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ესპანისტიკაში; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი საფრანგეთისმცოდნეობაში; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი იტალიისმცოდნეობაში; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი კულტურის მენეჯმენტში.
	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) (Maj)	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი გეოფიზიკაში.
მაგისტრატურა	პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია)	საბჭოთა კვლევების მაგისტრი.
	ინფორმაციის მენეჯმენტი	ინფორმაციის მენეჯმენტის მაგისტრი.
	განათლების ადმინისტრირება	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი.
	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (ქართული ენისა და	განათლების მაგისტრი ქართული ენისა და ლიტერატურის დიდაქტიკაში; განათლების მაგისტრი

	ლიტერატურის მასწავლებელი, მათემატიკის მასწავლებელი, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი, უცხო ენების (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) მასწავლებელი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/მუსიკის მასწავლებელი)	მათემატიკის დიდაქტიკაში; განათლების მაგისტრი საზოგადოებრივი მეცნიერებების დიდაქტიკაში; განათლების მაგისტრი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დიდაქტიკაში; განათლების მაგისტრი ინგლისური ენის დიდაქტიკაში; განათლების მაგისტრი გერმანული ენის დიდაქტიკაში; განათლების მაგისტრი ფრანგული ენის დიდაქტიკაში; განათლების მაგისტრი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/მუსიკის დიდაქტიკაში.
	უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა	ფილოლოგიის მაგისტრი ანგლისტიკაში; რომანული ფილოლოგიის მაგისტრი.
	შუა საუკუნეების კვლევები	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი შუა საუკუნეების კვლევებში.
	სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი კულტურის მენეჯმენტში.
	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია, ბიოლოგიური რესურსების მენეჯმენტი და დაცვა, ენტომოლოგია, მოლეკულური ბიომეცნიერებები, ბიოფარმაცია, ნეირომეცნიერებები)	ენტომოლოგიის მაგისტრი; მოლეკულური ბიომეცნიერებების მაგისტრი.
	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, მეტეოროლოგია)	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი გეოფიზიკაში; გეოგრაფიის მაგისტრი გეოგრაფიულ საინფორმაციო ტექნოლოგიებში.
დოქტორანტურა	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია)	გეოფიზიკის დოქტორი.

საბჭომ იმსჯელა პროგრამულ სტანდარტთან სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

3. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში მითითებული სასწავლო და დამხმარე ფართებისგან განსხვავებული რაოდენობა დააფიქსირა, კერძოდ:

დაწესებულების შენობების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით

№	დასახელება	შენობის სრული ფართი
1	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №32	13,976.00
2	ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5	9,694.00
3	ქ. თბილისი, წერეთლის გასასვლელი №1	2,415.00
4	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6 სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“	4,820.96
5	ქ. თბილისი, გ. წერეთლის გასასვლელი №3	5,222.00
6	ქ. თბილისი, დ. უზნაძის №68. სატელევიზიო სასწავლო ცენტრი. IV სართულზე განთავსებული შენობის ფართი	530.85
7	ქ. თბილისი, ზანდუკელის ქ. №1	1,544.16
8	ქ. თბილისი, თემქის დასახლება მე-11 მ/რ 1-ლი კვ.	3,939.57
9	დედოფლისწყარო რუსთაველის №143	1,845.12
10	დაბა სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტი	1,016.70
11	დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი	7,188.50
12	სეისმური მონიტორინგის ცენტრი ქ.თბილისი, ნუცუბიძის ქ.77	679.94
13	ქ. თბილისი, ბოტანიკური ქუჩა №1	4,570.26
14	ქ.თბილისი, გოთუას ქუჩა, №3	8,487.55
15	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 (სპორტის ფაკულტეტი)	1,908.10
16	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 (თბილისის ევგენი ხარაძის სახელობის ასტროფიზიკური ობსერვატორიის განყოფილება)	2,595.84
17	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 (ბიოდიზელის გამოსახდელი ლაბორატორია)	841.86

18	ქ. ქუთაისი ი ჭავჭავაძის გამზ. 2/ა I სადარბაზო I სართული (კვლევითი ობიექტი)	56.52
19	ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი	643.15
20	ლანჩხუთი, სოფ. გრიგოლეთი (კვლევითი ბაზა, კოტეჯი №1)	382.70
სულ:		72,358.78

დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით

№	დასახელება	სასწავლო ფართი
1	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №32	8914.11
2	ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5	4471.12
3	ქ. თბილისი, წერეთლის გასასვლელი №1	1814.50
4	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6 სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“	2947.50
5	ქ. თბილისი, გ. წერეთლის გასასვლელი №3	2487.40
6	ქ. თბილისი, დ. უზნაძის №68. სატელევიზიო სასწავლო ცენტრი. IV სართულზე განთავსებული შენობის ფართი	443
7	ქ. თბილისი, ზანდუკელის ქ. №1	1109.93
8	ქ. თბილისი, თემქის დასახლება მე-11 მ/რ 1-ლი კვ.	1780.80
9	დედოფლისწყარო რუსთაველის №143	962.01
10	დაბა სტეფანწმინდის ალბური ეკოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტი	597.12
11	დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი	2394.8
12	სეისმური მონიტორინგის ცენტრი ქ.თბილისი, ნუცუბიძის ქ.77	598.91
13	ქ. თბილისი, ბოტანიკური ქუჩა №1	2540.02
14	ქ.თბილისი, გოთუას ქუჩა, №3	3821.12
15	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 (სპორტის ფაკულტეტი)	1331.90

16	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 (თბილისის ევგენი ხარაძის სახელობის ასტროფიზიკური ობსერვატორიის განყოფილება)	1695.50
17	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 (ბიოდიზელის გამოსახდელი ლაბორატორია)	374.42
18	ქ. ქუთაისი ი ჭავჭავაძის გამზ. 2/ა I სადარბაზო I სართული (კვლევითი ობიექტი)	50.30
19	ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი - (ლაბორატორია, ჰერბარიუმი და ბიბლიოთეკა)	58.92
20	ლანჩხუთი, სოფ. გრიგოლეთი (კვლევითი ბაზა, კოტეჯი №1)	64.50
სულ:		38457,88

დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით

№	დასახელება	დამხმარე ფართი
1	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №32	4786,89
2	ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5	4871,58
3	ქ. თბილისი, წერეთლის გასასვლელი №1	600.50
4	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6 სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“	1,873.46
5	ქ. თბილისი, გ. წერეთლის გასასვლელი №3	2,250.60
6	ქ. თბილისი, დ. უზნაძის №68. სატელევიზიო სასწავლო ცენტრი. IV სართულზე განთავსებული შენობის ფართი	42.05
7	ქ. თბილისი, ზანდუკელის ქ. №1	434.23
8	ქ. თბილისი, თემქის დასახლება მე-11 მ/რ 1-ლი კვ.	2,158.77
9	დედოფლისწყარო რუსთაველის №143	883.11
10	დაბა სტეფანწმინდის ალპური ეკოლოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტი	419.58
11	დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი	707.89
12	სეისმური მონიტორინგის ცენტრი ქ.თბილისი, ნუცუბიძის ქ.77	81.03

13	ქ. თბილისი, ბოტანიკური ქუჩა №1	2,030.24
14	ქ.თბილისი, გოთუას ქუჩა, №3	2,249.12
15	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 (სპორტის ფაკულტეტი)	576.20
16	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 (თბილისის ევგენი ხარაძის სახელობის ასტროფიზიკური ობსერვატორიის განყოფილება)	576.34
17	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 (ბიოდიზელის გამოსახდელი ლაბორატორია)	467.44
18	ქ. ქუთაისი ი ჭავჭავაძის გამზ. 2/ა I სადარბაზო I სართული (კვლევითი ობიექტი)	6.22
19	ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი - (ლაბორატორია, ჰერბარიუმი)	403.24
20	ლანჩხუთი, სოფ. გრიგოლეთი (კვლევითი ბაზა, კოტეჯი №1)	318.20
სულ:		25736,69

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 (თბილისის ევგენი ხარაძის სახელობის ასტროფიზიკური ობსერვატორიის განყოფილება) მდებარე შენობის 656 კვ.მ. ფართზე დასრულებულია სარემონტო სამუშაოები, თუმცა ვიზიტის მიმდინარეობისას არ იყო აღჭურვილი სათანადო ინვენტარით. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განმარტებით უახლოეს კვირებში განსაზღვრულია ამ ფართის აღჭურვა სათანადო ინვენტარით.

ქ. თბილისი, თემქის დასახლება მე-11 მ/რ 1-ლი კვ. შენობაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულება უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით განსაზღვრულია სექტემბრის თვის პირველ ნახევარში (სამშენებლო მასალები შეძენილია ტენდერის შედეგად, რაც დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე მომხსენებლისგან დაინტერესდა ექპერტთა ვიზიტის დროს რა მდგომარეობა იყო ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2-სა და თემქის დასახლება მე-11 მ/რ 1-ლი კვ. შენობაში. კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ ექპერტთა ვიზიტის დროს, აღნიშნულ შენობებში ძირითადი სარემონტო სამუშაოები იყო დასრულებული. კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, იყო თუ არა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მითითებული ყველა ფართი რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. მომხსენებელმა აღნიშნა, უნივერსიტეტის მიერ მითითებული ყველა ფართი რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

4. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა წარმოებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი "აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებისა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების" წესის შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

სამი კონკურსის ჩატარების ვადებში შეინიშნება ხარვეზები, კერძოდ:

პირველი კონკურსი გამოცხადდა რექტორის 2010 წლის 14 ივნისის ბრძანებით №02-898. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“-ში 2010 წლის 15 ივნისის №127. საბუთების მიღების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 20 ივლისიდან 2010 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით. რექტორის 2010 წლის 24 სექტემბრის ბრძანებებით №02-2243, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დაინიშნა ნინო თევდორაძე. დარღვეულია საბუთების მიღების ვადებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნა და არაა დაცული საბუთების მიღებისათვის დაწესებული არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კვირიანი ვადა, - საბუთების მიღების ვადად განსაზღვრულია 4 კვირა.

მეორე კონკურსი გამოცხადდა რექტორის 2010 წლის 14 ივნისის ბრძანებით №02-910. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“-ში 2010 წლის 15 ივნისის №127. საბუთების მიღების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 19 ივლისიდან 2010 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით. რექტორის 2010 წლის 30 სექტემბრის ბრძანებებით №02 -2304, აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნენ:

1. ელგუჯა დადუნაშვილი - ასოცირებული პროფესორი;
2. ნანა ყიფიანი - ასოცირებული პროფესორი;
3. ბელა წიფურია - სრული პროფესორი;
4. ათინათ მამაცაშვილი-კობახიძე - ასოცირებული პროფესორი;
5. სერგო რატიანი - სრული პროფესორი;
6. გიგა ზედანია - სრული პროფესორი;
7. თამარ ჯაფარიძე - სრული პროფესორი;
8. ეშხარ ჯგერენაია - სრული პროფესორი;
9. მამუკა ნადარეიშვილი - სრული პროფესორი;
10. მალხაზ მაყაშვილი - ასოცირებული პროფესორი;
11. რუსუდან მირცხულავა - ასოცირებული პროფესორი;
12. დავით მიქელაძე - სრული პროფესორი;
13. მზია ჟვანია - ასოცირებული პროფესორი;
14. ირმა გვილია - ასოცირებული პროფესორი;
15. ნუგზარ ზაზანაშვილი - ასოცირებული პროფესორი;
16. მამუკა კოტეტიშვილი - სრული პროფესორი;
17. ირაკლი სიმონია - ასოცირებული პროფესორი;
18. ზურაბ ჯავახიშვილი - ასოცირებული პროფესორი;
19. თინათინ კახნიაშვილი - სრული პროფესორი;

დარღვეულია საბუთების მიღების ვადებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნა და არაა დაცული საბუთების მიღებისათვის დაწესებული არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კვირიანი ვადა, - საბუთების მიღების ვადად განსაზღვრულია 4 კვირა.

მესამე კონკურსი გამოცხადდა რექტორის 2010 წლის 14 სექტემბრის ბრძანებით №02-2149. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“-ში 2010 წლის 16

სექტემბერს №196. საბუთების მიღების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 18 ოქტომბრიდან 2010 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით. რექტორის 2010 წლის 29 ნოემბრის ბრძანებებით №02-2745, ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დაინიშნა მაია ნოზაძე. დარღვეულია საბუთების მიღების ვადებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნა და არაა დაცული საბუთების მიღებისათვის დაწესებული არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კვირიანი ვადა, - საბუთების მიღების ვადად განსაზღვრულია 11 დღე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ 20 პროფესორთან დაკავშირებით საბუთების მიღების ვადა იყო უფრო მეტი ვიდრე ითვალისწინებდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, კერძოდ 4 კვირა. 1 პროფესორთან დაკავშირებით კი საბუთების მიღებისთვის გათვალისწინებული იყო 11 დღე ნაცვლად არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კვირისა, ანუ ამ შემთხვევაში დაწესებულების მიერ დადგენილი საბუთების მიღების ვადა იყო ნაკლები.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 20 პროფესორის საბუთების მიღებასთან დაკავშირებით მისი აზრით პრობლემა არ იყო, რადგან კანონმდებლობით დადგენილი ვადა მათ მიერ არ იყო შემცირებული. სერგო რატიანის განმარტებით, ამ შემთხვევაში, საბუთების მიღების ვადის გაზრდით ზიანი არცერთ დაიტერესებულ პირს არ მისდგომია. საბჭოს თავმჯდომარე არ დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებას. მისი აზრით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული იყო შემდეგი ფორმულირება: საკონკურსო საბუთების მიღება მიღება გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა. შესაბამისად, სახეზე გვქონდა აღნიშნული ნორმის დარღვევა და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღნიშნული ვადა შეამცირა თუ გაზარდა. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო აფასებს არა იმას, მიადგა თუ არა კონკურსის ჩატარებით რომელიმე დაინტერესებულ პირს ზიანი, არამედ რამდენად იყო ეს კონკურსი ჩატარებული კანონის მოთხოვნათა დაცვით. დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექპერტების მიერ დაფიქსირებულ შენიშვნას იზიარებდნენ, თუმცა მას მიაჩნდა რომ ავტორიზაციის მიზნებისთვის ზემოთ აღნიშნული 20 პროფესორი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს უნდა ჩათვლოდა, რადგან არაცერთი დაინტერესებული პირის უფლებები არ იყო დარღვეული.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლი საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სურვილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1. პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამები, რომელშიც გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციები არ შეესაბამება „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მეოთხე დანართით გათვალისწინებულ „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალს“. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების

განმარტებით, მათ სურთ აღნიშნული კვალიფიკაციების დამატება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე დანართის შესაბამისად.

კერძოდ:

1	სასცენო ხელოვნების ოსტატი	IV საფეხური	სტატისტიკის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია	90
2	სასცენო ხელოვნების ოსტატი	V საფეხური	სტატისტიკის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია	90
3	სცენის მულტიმედია- დიზაინი	IV საფეხური	სცენის მულტიმედია- დიზაინერის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია	90
4	სცენის მულტიმედია- დიზაინი	V საფეხური	სცენის მულტიმედია- დიზაინერის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია	90
5	ლაშქრობის გიდი	IV საფეხური	საფეხმავლო გამყოლის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია	60
6	სამთო გიდი	V საფეხური	სამთო გამყოლის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია	120

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ განაცხადა, რომ ცენტრი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს თანხმობას აძლევდა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

საკითხს მხარი არ დაუჭირა თავად საბჭოს თავმჯდომარემ, ვინაიდან მიიჩნია რომ სულ ცოტა, ადგილი ჰქონდა ადამიანური რესურსების სტანდარტის პირობების ნაწილობრივ დარღვევას (აკადემიური პერსონალის ნაწილის შერჩევის წესის დარღვევა), მეორე ხმრივ, კი საბჭოს წევრთა მიერ სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტების ოდენობათა განსაზღვრისას აკადემიური პერსონალის შერჩევის წესის დარღვევით დანიშნვის ფაქტობრივი გარემოება არ იქნა გათვალისწინებული, რაც მას საშუალებას არ აძლევს მხარი დაუჭიროს გადაწყვეტილებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 1

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 10641-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 1

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 1121-ით.

7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმართა შეკითხვით, ხომ არ აქვთ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. ავტორიზაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ კუკულავამ, დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშილმა განაცხადა, რომ სარგებლობს მინიჭებული უფლებამოსილებით და თვითაცილებას აცხადებს, ვინაიდან არის ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების მიერ აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნული პირი და შესაბამისად, ვერ მიიღებს მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვაში. საბჭოს თავმჯდომარეს თვითაცილების განცხადებით შეუერთდა ასევე საბჭოს წევრი, იოსებ სალუქვაძე.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, მიმართა საბჭოს სხვა წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ლალი ღოღელიანმა კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს სხდომის მდივანს ეთხოვა, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

გიორგი ცხვედიანის განმარტებით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სურვილია უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განახორციელოს, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ორი დასკვნა მოამზადა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით, არსებობს შემდეგი შენიშვნები.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამები, რომელშიც გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციები არ შეესაბამება „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მეოთხე დანართით გათვალისწინებულ „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალს“. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ სურთ აღნიშნული კვალიფიკაციების დამატება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში.

კერძოდ:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემუშავებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“, რომლებისთვისაც მისანიჭებელი კვალიფიკაციები ფორმულირებულია შესაბამისად მეცნიერებათა ბაკალავრი/მაგისტრი /დოქტორი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში. აღნიშნული კვალიფიკაცია გათვალისწინებული არაა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, მაგრამ უნივერსიტეტის პროფესორები ადასტურებენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებაში ამ დარგის დამატების აუცილებლობას.
2. უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები „პოლიტიკის მეცნიერება“, რომელთა შესაბამისი კვალიფიკაციებია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი/დოქტორი. მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორების მიმართვა, რომლებიც ასაბუთებენ, რომ უმჯობესია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში „პოლიტიკის მეცნიერებების“ ნაცვლად დაფიქსირდეს „პოლიტიკის მეცნიერება“.
3. სამაგისტრო პროგრამა „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“. დაწესებულებამ წარმოადგინა თსუ–ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის თამარ გაგოშიძის მიმართვა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ნ. დურგლიშვილის სახელზე საკვალიფიკაციო ჩარჩოში სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებაში კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის კვალიფიკაციის შეტანის საკითხთან დაკავშირებით.
4. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია“, დაწესებულებამ წარმოადგინა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სახელზე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ლალი სურმანიძის მიმართვა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებათშორისი დარგების ჩამონათვალში ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დამატების საჭიროების შესახებ.
5. უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილია მიმართვა იმის თაობაზე, რომ საბაკალავრო პროგრამების– ქართული ფილოლოგია; ინგლისური ფილოლოგია; რუსული ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; სკანდინავიური ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია; იტალიური ფილოლოგია; ესპანური ფილოლოგია; ახალი ბერძნული ფილოლოგია; კლასიკური ფილოლოგია; ბიზანტიური ფილოლოგია; რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი); მისანიჭებელი კვალიფიკაციების დაზუსტება აუცილებელია შესაბამისი ენის მითითებით.
6. სამაგისტრო პროგრამა „ შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია“ სტუდენტებს სთავაზობს ორ სასპეციალიზაციო მოდულს: ქართული ფილოლოგია; სომხური ფილოლოგია. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის მაგისტრი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ითხოვს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფილოლოგიის დარგის გასწვრივ მესამე სვეტში სომხური ფილოლოგიის დამატებას, რაც საშუალებას მისცემთ პროგრამის კურსდამთვრებულებს მიანიჭონ აკადემიური ხარისხი - ფილოლოგიის მაგისტრი სომხურ ფილოლოგიაში.
7. სამაგისტრო პროგრამა „შუა საუკუნეების კვლევები“ - მისანიჭებელი კვალიფიკაცია: შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრი. დაწესებულებამ წარმოადგინა შუამდგომლობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, სპეციალიზაციათა ჩამონათვალში მოხდეს შუა საუკუნეების კვლევები, როგორც ინტერდისციპლინური დარგის დამატება.

8. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ - უნივერსიტეტმა წარმოადგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ნოდარ ბელქანიას შუამდგომლობა მასზედ, რომ სასურველია აღნიშნული პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის - „ორგანიზაციის განვითარება“ დამატება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ინტერდისციპლინურ მეცნიერებათა მიმართულებაში, საჯარო მმართველობის დარგის გასწვრივ.

9. სამაგისტრო პროგრამა „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“ - მისანიჭებელი კვალიფიკაცია გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი. წარმოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელის ანასტასია ქიტიაშვილის შუამდგომლობა აღნიშნული კვალიფიკაცია დაემატოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების ფსიქოლოგიის დარგის მესამე სვეტს.

10. სამაგისტრო პროგრამა „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ - მისანიჭებელი კვალიფიკაცია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი. წარმოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელის ზურაბ დავითაშვილის შუამდგომლობა აღნიშნული კვალიფიკაცია დაემატოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების საერთაშორისო ურთიერთობების დარგის მესამე სვეტს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს დამატებით წარედგინა 2011 წლის 18 ივლისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის N939/01-01-03-05 კორესპონდენცია, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესაბამისი ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ზემოთ მითითებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.

საბჭომ მოისმინა ცენტრის დირექტორის მოადგილის დავით კერესელიძის განმარტება, რომელმაც აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ შესწავლილი იქნა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი №03-7521 კორესპონდენცია, გაიმართა კონსულტაციები ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, რომლის შედეგად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი კვალიფიკაციების (მეცნიერებათა ბაკალავრი/მაგისტრი/დოქტორი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში; პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი/დოქტორი; კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრი; ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრი/დოქტორი; ქართული/ინგლისური/რუსული გერმანული/სკანდინავიური/ფრანგული/იტალიური/ესპანური/ახალი ბერძნული/კლასიკური/ბიზანტიური ფილოლოგიის ბაკალავრი; სომხური ფილოლოგიის მაგისტრი; შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრი; ორგანიზაციის განვითარების მაგისტრი/დოქტორი; გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი; დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მეოთხე დანართით გათვალისწინებულ „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში“ დამატების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ასევე, არსებული საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნაში მითითებულია შემდეგი შენიშვნები:

სამაგისტრო პროგრამა „ფუნდამენტური ფიზიკა“ წარმოდგენილია 3 მოდულით: კონდენსირებული გარემოს ფიზიკა; ასტროფიზიკა და პლაზმის ფიზიკა; ატომური ფიზიკა და

ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა. კვალიფიკაციებს კი ანიჭებს: ფიზიკის მაგისტრი სპეციალობებში: კონდენსირებული გარემოს ფიზიკა/ ასტროფიზიკა/პლაზმის ფიზიკა/ატომური ფიზიკა/ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა და არაწრფივი მოვლენების ფიზიკა. **სწავლის შედეგები გაწერილია ერთიანად, მოდულის შესაბამისი დაკონკრეტების გარეშე.**

სამაგისტრო პროგრამა „გამოყენებითი ფიზიკა“

წარმოდგენილია 3 მოდულით: მასალათმცოდნეობა, მიკრო და ნანო ელექტრონიკა; გამოყენებითი ელექტროდინამიკა და რადიოფიზიკა; გამოყენებითი ბირთვული ფიზიკა და რადიაციული უსაფრთხოება. კვალიფიკაციებს ანიჭებს: ფიზიკის მაგისტრი სპეციალობებში: მყარი სხეულების ფიზიკა/მიკრო და ნანო ელექტრონიკა/ გამოყენებითი ელექტროდინამიკა/ რადიოფიზიკა /ბირთვული ფიზიკა. **სწავლის შედეგები გაწერილია ერთიანად, მოდულის შესაბამისი დაკონკრეტების გარეშე.**

სამაგისტრო პროგრამა ბიოლოგიაში - მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიოლოგიის მაგისტრი (ბიომრავალფეროვნება, ბიოქიმია; ნეირომეცნიერებები; მორფოლოგია; განვითარების ბიოლოგია; მცენარეთა ფიზიოლოგია; მიკრობიოლოგია; იმუნოლოგია; უჯრედული ბიოლოგია; მოლეკულური ბიოლოგია; გენეტიკა). მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ანიჭებს სხვადასხვა კვალიფიკაციებს, სწავლის შედეგი პროგრამას აქვს ერთი. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია მოდულარული პრინციპით. სასწავლო გეგმას ერთვის საგნების ანოტაციები, თუმცა სასწავლო გეგმაში მითითებული საგნები და ანოტაციები არ არის ერთმანეთთან თავსებადობაში.

მათემატიკის სადოქტორო პროგრამა - სწავლის შედეგებში ცოდნა აღწერილია როგორც უნარი. კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები აღწერილი არაა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის შესაბამისი აღმწერით.

სადოქტორო პროგრამა გეოგრაფია - სწავლის შედეგები პირდაპირაა გადაწერილი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოდან.

სადოქტორო პროგრამა გამოყენებითი ეკოლოგია -სწავლის შედეგები პირდაპირაა გადაწერილი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოდან.

საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“ - ცოდნა აღწერილია როგორც უნარი; დამატებითი სპეციალობის პროგრამა არის ორგვარი - ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებისათვის და სხვა დანარჩენი სპეციალობების სტუდენტებისათვის, განსხვავებულია სასწავლო გეგმები, მაგრამ შედეგები არის ორივესი იდენტური. სასწავლო გეგმებში არ არის საათობრივი განაწილება.

სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ - პროგრამა აგებულია მოდულების სისტემით და სწავლის შედეგები არის საერთო ცოდნა და გაცნობიერებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში.

სამაგისტრო პროგრამა–სლავური ფილოლოგია - მისანიჭებელი კვალიფიკაცია–ფილოლოგიის მაგისტრი სპეციალობა: რუსული ფილოლოგია/პოლონისტიკა/უკრაინისმცოდნეობა. აღნიშნული პროგრამა ანიჭებს სხვადასხვა კვალიფიკაციას სპეციალობის დაკონკრეტებით. სწავლის შედეგები კი საერთოა, არადიფერენცირებული შესაბამისი კვალიფიკაციების მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამა–ასირიოლოგია - ბუნდოვანია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები. კომუნიკაციის უნარში აღნიშნულია შემდეგი: „პედაგოგიური მუშაობა

ბაკალავრიატის დამწყებ ასირიოლოგებთან.“, ხოლო სწავლის უნარში „კურიკულუმის შედგენა, სასწავლო პროგრამის ყოველი ცალკეული მონაკვეთის დამოუკიდებლად დამუშავება სათანადო წყაროების გამოყენებით.“

კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია–ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი/მუზეუმმცოდნეობის მაგისტრი, თუმცა სწავლის შედეგები კი საერთოა, არადიფერენცირებული შესაბამისი კვალიფიკაციების მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამა–ძველი ენები და ცივილიზაციები - მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ისტორიის მაგისტრი, სპეციალობა: ძველი მსოფლიოს ისტორია/ასირიოლოგია/სიმღველეთმცოდნეობა. აღნიშნული პროგრამა ანიჭებს სხვადასხვა კვალიფიკაციას სპეციალობის დაკონკრეტებით, სწავლის შედეგები კი საერთოა, არადიფერენცირებული შესაბამისი კვალიფიკაციების მიხედვით.

საბჭომ იმსჯელა ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული შენიშვნების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე, კერძოდ, საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ დასკვნაში აღნიშნული შენიშვნები შეეხება არა ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების ინდიკატორებს, არამედ პროგრამის შინაარსობრივ მხარეს, რომელიც უნდა შეფასდეს შესაბამისი პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში. ამასთან, ავტორიზაციის დებულებით დადგენილი სტანდარტების დარღვევა, აღნიშნულ შემთხვევაში არ ფიქსირდება.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის პროგრამულ სტანდარტთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირობების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების პირობების რეალური მდგომარეობა და წარმოადგინა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების სასწავლო ფართების რაოდენობა, რომელიც ექსპერტების ჯგუფის გამოთვლების შესაბამისად, ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა შეადგენს **82851.66 კვ.მ** ყველა მისამართზე, ამასთან, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ამ ფართთან დაკავშირებით დაფიქსირებულია შემდეგი ხასიათის შენიშვნები:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი (სასწავლო ფართი **6665 კვ.მ**) საავტორიზაციო ვიზიტის დროისათვის არ იყო აღჭურვილი სასწავლო ინვენტარით (სარემონტო სამუშაოები ძირითადად დასრულებული იყო, თუმცა კოსმეტიკური რემონტი, განათების მონტაჟი, აუდიტორიების აღჭურვა და ა.შ.) დასრულებული არ იყო.

იგივე საკითხი შეეხებოდა სასწავლო კორპუსების აღჭურვას შეზღუდული შესაძლებლობების პირების მიერ სარგებლობისათვის, რომლის შესაბამისი სარემონტო სამუშაოები ყველა სასწავლო კორპუსში არ იყო დასრულებული.

ასევე, ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ საჯარო რეესტრის მონაცემების შესაბამისად, უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარში მითითებული რიგი კორპუსების მფლობელობის უფლება არ დასტურდება საჯარო რეესტრის ჩანაწერებით შემდეგი გარემოებების გამო:

უნივერსიტეტის N3, N4 და N8 სასწავლო კორპუსზე და უნივერსიტეტის სასწავლო-საკონფერენციო ცენტრზე სახელმწიფოს საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ხოლო ყოფილი შპს „საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტისა“ და სსიპ - „თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მფლობელობაში არსებულ სასწავლო კორპუსებზე არ არის რეგისტრირებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობის უფლება.

ამასთან დაკავშირებით ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ბრძანება N01/1638 რომლის შესაბამისად, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სარემონტო სამუშაოები დასრულდება 2011 წლის პირველ აგვისტომდე. ასევე, საბჭოს წარედგინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2011 წლის 18 ივლისის კორესპონდენცია N05/15353, რომლის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გასცემდა დაპირებას, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შემდგომ სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული უძრავი ქონების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადაცემის შესახებ. ასევე, საბჭოს წარედგინა საქართველოს მთავრობის №346 დადგენილება, რომლის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს შპს „საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტისა“ და სსიპ - თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში უფლებამონაცვლობის წესით მიმღებს.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია და უნივერსიტეტის სასწავლო ფართი შეადგენს **82851.66 კვ.მ-ს**.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა წარმოებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ამასთან, 2009 წელს, აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი ჩატარებულია ადრე არსებული ვადებისა და პროცედურის შესაბამისად, რომელიც შეიცვალა 2009 წლის 10 აგვისტოს N1611 საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლში შეტანილი ცვლილებებით. კანონმდებლობის ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებში აისახა მხოლოდ 2010 წლის 18 იანვარს გამოცემული აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

ასევე, 6 აკადემიურ პერსონალს უკავიათ აკადემიური თანამდებობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამორიცხავს აღნიშნული პირების ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულებისათვის მიკუთვნებას.

საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის შეკითხვაზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაადასტურეს, რომ 2009 წელს ჩატარებული კონკურსები შესაბამისობაში იყო ავტორიზაციის მადიებლის აკადემიური საბჭოს 2008 წლის N91 დადგენილებით დადგენილ ერთიან წესებთან. კონკურსით არ დარღვეულა ამ პროცედურისათვის კანონით დადგენილი გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპები, ვინაიდან კონკურსის ყველა მონაწილე თანაბარ პირობებში იმყოფებოდა.

საბჭომ იმსჯელა **ადამიანური რესურსის** სტანდარტთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირობების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია და აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 679-ს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 21713-ით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

4. პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, და მათი კვალიფიკაციები შეესაბამება „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მეოთხე დანართით გათვალისწინებულ „მომართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალს“ და ავტორიზაციის დებულების მოთხოვნებს, ამასთან, ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესების ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი

განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებას შემუშავებული აქვს მხოლოდ აკადემიური უმაღლესი განათლების პროგრამებისათვის, და აღნიშნული რეგულაციები არ ითვალისწინებს პროფესიული განათლების პროგრამების და პროფესიული სტუდენტების დაწესებულებასთან ურთიერთობის სპეციფიკას.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია ასახულია თავად საგანმანათლებლო პროგრამებში. ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ სტანდარტებთან შეუსაბამობას აღნიშნულ შემთხვევაში, ადგილი არა აქვს.

კენჭი ეყარა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

სხდომა დასრულდა 23:55 საათზე.

კახი ყურაშვილი
საბჭოს თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
საბჭოს მდივანი

